ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი - 06.11.23

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი - 018/23

შეკითხვა:

სასამართლოს მიერ, ადვოკატის მიმართ ეთიკის კომისიაში მიმდინარე რამოდენიმე საქმის თაობაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ მოხდეს აღნიშნული საქმისწარმოების შეჩერება პროფესიული ნიშნით დისკრიმინაციის საფუძველზე, მათშორის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით. როდესაც ეთიკის კომისიაში ამ ადვოკატის მიმართ განიხილება სხვა ფაქტობრივ გარემოებებიდან გამომდინარე, თუმცა შეჩერებულ საქმეებთან კავშირში მყოფი საქმეები, აქვს თუ არა ეთიკის კომისიას ვალდებულება, რომ შეაჩეროს აღნიშნული საქმეების წარმოებაც, სანამ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული?

ანალიზი:

ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 41-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „რეკომენდაცია არის ეთიკის კომისიის მოსაზრება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის საკითხებზე. რეკომენდაცია წარმოდგენილ ფაქტებზე დაყრდნობით განმარტავს ეთიკის კოდექსის ნორმებს და შეიცავს მოსაზრებას, შეკითხვაში გადმოცემული შესაძლო ქმედება არის თუ არა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევა.“ თავის მხრივ, დებულების 41-ე მუხლი განსაზღვრავს იმ საკითხებს, რომელზეც ეთიკის კომისია უფლებამოსილია გასცეს რეკომენდაცია. კერძოდ, რეკომენდაცია შეიძლება იყოს: 1. ნორმის განმარტება. 2. მოსაზრება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის საკითხებზე. 3. მოსაზრება კონკრეტული შესაძლო ქმედების ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმებთან შესაბამისობაზე. შესაბამისად, დებულების 41-ე მუხლი ამომწურავად ჩამოთვლის იმ საკითხებს რაზეც კომისია გასცემს რეკომენდაციას. ამასთან, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 45-ე მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით: „ეთიკის კომისია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილია უარი თქვას რეგისტრირებული შეკითხვის განხილვაზე, თუ მოთხოვნილი რეკომენდაცია ეხება კომისიის დისციპლინურ სამართალწარმოებაში არსებულ საქმეს“. 3 განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატის მიერ დასმული შეკითხვა, ეხება კომისიაში დარეგისტრირებულ საჩივარზე მიმდინარე დისციპლინურ წარმოებას. ამასთან, როგორც პირველი ასევე სხვა დანარჩენი შეკითხვები, არ აკმაყოფილებენ შეკითხვის ფორმას. ადვოკატის მიერ დასმული შეკითხვები არ არის ჰიპოთეტური შინაარსის და მასში აღწერილი გარემოებები მიემართება კონკრეტულ პირთა წრეს და იდენტიფიცირებადს ხდიან განსახილველი საკითხის ფაქტობრივ

გარემოებებებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეთიკის კომისია, კონკრეტულ შემთხვევაში, მოკლებულია შესაძლბელობას გასცეს რეკომენდაცია, რადგან შემოსული შეკითხვა ერთის მხრივ, მიემართება კომისიაში მიმდინარე საქმისწარმოებას ხოლო მეორეს მხრივ, არ ჯდება „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 41-ე მუხლის პირველი პუნქტში ჩამოთვლილ იმ საკითხეთა რიგში, რომელზეც ეთიკის კომისია უფლებამოსილია გასცეს რეკომენდაცია.

დასკვნა:

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 45-ე მუხლის მე-9 პუქტისა და 41-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ეთიკის კომისია ვერ გასცემს რეკომენდაციას შემოსულ შეკითხვასთან დაკავშირებით.

მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.